საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1780 2015 წლის 25 აგვისტო ქ. თბილისი

„მცირემიწიან ფერმერთა 2015 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 თებერვლის №134 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „მცირემიწიან ფერმერთა 2015 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 თებერვლის №134 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებულ „მცირემიწიან ფერმერთა 2015 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტს“ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-14 მუხლი:

„მუხლი 14. კახეთის რეგიონში 2015 წლის აგვისტოს სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა მიერ სპილენძის შემცველი სასოფლო-სამეურნეო პრეპარატ(ებ)ის შესყიდვის ღირებულების სუბსიდირება

1. სააგენტო განახორციელებს კახეთის რეგიონში 2015 წლის აგვისტოს სტიქიის (სეტყვის) შედეგად იმ დაზარალებულ პირთა (შემდგომში - დაზარალებული) მიერ სპილენძის შემცველი სასოფლო-სამეურნეო პრეპარატ(ებ)ის (შემდგომში - პრეპარატი) შესყიდვის ღირებულების სუბსიდირებას, რომელთაც მფლობელობაში/სარგებლობაში/საკუთრებაში

გააჩნიათ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, რაც მუშავდებოდა დაზარალებულის მიერ მრავალწლიანი კულტურების მოსაყვანად.

2. დაზარალებულთა სიას განსაზღვრავს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მიაწვდის სააგენტოს.

3. პრეპარატების ჩამონათვალი განსაზღვრულია №1 დანართით.

4. პრეპარატ(ებ)ის მიმწოდებელი პირები (შემდგომში - მიმწოდებელი), რომლებისგანაც მოხდება დაზარალებულის მიერ პრეპარატების შესყიდვა, განისაზღვრება სააგენტოს მიერ შემდეგი პრინციპით: პროექტის ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო საქონლის მიმწოდებლები, რომელთაც გაფორმებული აქვთ ხელშეკრულება სააგენტოსთან, გააჩნიათ სარეალიზაციო პუნქტები ყვარლისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში და განაცხადებენ თანხმობას წინამდებარე მუხლით განსაზღვრულ ღონისძიებაში.

5. სააგენტო ტერიტორიულობის პრინციპით განახორციელებს დაზარალებულების გადანაწილებას მიმწოდებლებზე.

6. სააგენტო შეიმუშავებს დაზარალებულების მიმწოდებლებზე გადანაწილების პროცედურას.

7. სუბსიდირების თანხა 1 ჰა-ზე შეადგენს 65 ლარს. სუბსიდირებას ექვემდებარება დაზარალებულის მფლობელობაში/სარგებლობაში/ საკუთრებაში არსებული სეტყვის შედეგად დაზიანებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი არა უმეტეს 5 ჰექტრისა, რომელსაც ამუშავებდა მრავალწლიანი კულტურების მოსაყვანად.

8. სააგენტო განახორციელებს სუბსიდირებას მიმწოდებლების მიერ 2015 წლის 7 სექტემბრის ჩათვლით რეალიზებულ პრეპარატ(ებ)ზე.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

დანართი #1. პრეპარატები

დასახელება	კგ	ლიტრი
სპილენძის შაბიამანი, ხფ	25	
სპილენძის შაბიამანი, ხფ	1	
ბორდოს ნარევი	10	
ბორდოს ნარევი	0.5	
ბორდოს ნარევი 20%	1	
ბორდოს ნარევი 20%	10	
ბორდოს ნარევი 20%	15	
ბორდოს ნარევი 22 ჩუ სფ	10	
ბორდოს ნარევი 22 ჩუ სფ	20	
ბორდოს ნარევი 22 ჩუ სფ	1	
ირიკო 40, წდგრ	10	
ირიკო 40, წდგრ	1	
ირიკო 40, წდგრ	0.5	
ირიკო 40, წდგრ	0.3	
ირიკო 40, წდგრ	0.1	
მეტკუპერი, სფ	1	
მეტკუპერი, სფ	10	
კურზატი რ, სფ	0.05	
კურზატი რ, სფ	1	
კურზატი რ, სფ	0.25	
კოსაიდ 2000 წდგრ	10	
კოსაიდ 2000 წდგრ	1	
კოსაიდ 2000 წდგრ	0.3	
ეფდალ მოკანი, სფ	1	
ეფდალ მოკანი, სფ	0.05	
ეფდალ მოკანი, სფ	0.3	
ეფდალ მოკანი, სფ	0.03	
ფაიტერ ბლუ,სფ	1	
ჩემპიონი, სფ	0.3	
ჩემპიონი, სფ	10	
ჩემპიონი, სფ	1	
დელანი 70, წდგრ	1	
ნეორამი	20	
აბიგა-პიკი, წხ	1.25	
აბიგა-პიკი, წხ	0.25	
აბიგა-პიკი, წხ	0.05	
ბლუ ბორდო დისპერს, წდგრ	10	
კუპროფიქსი 30 დისპერს, წდგრ	10	
კუპროფიქსი 30 დისპერს, წდგრ	0.8	
აირონი, წდგრ	10	
აირონი, წდგრ	1	

კუპროფლო სკ		1
ბორდოფლო ნიუ, სკ		10
ბორდოფლო ნიუ, სკ		1
ბორდოფლო ნიუ, სკ		5
ოქსიქლორ 20 ფლოუ		1
ოქსიქლორ 20 ფლოუ		3.5
ოქსიქლორ 20 ფლოუ		5
ოქსიქლორ 20 ფლოუ		10

შენიშვნა: ჩამოთვლილი პროდუქციის ფასები მოცემულია სააგენტოს ვებ-გვერდზე www.apma.ge/supply

აღნიშნული ფასები შეიძლება პერიოდულად შეიცვალოს, რაც დაფიქსირდება სააგენტოს ვებ-გვერდზე www.apma.ge/supply